

## დავით აღმაშენებლის N 36-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ინტერიერის მოხატულობის ზოგადი დახასიათება

დავით აღმაშენებლის (ყოფილ მიხეილის) გამზირზე, №36-ში, ე.წ. „ვორონცოვის“ მხარეს მდებარე მდიდრული მორთულობით გამორჩეული შენობა ცნობილ ქართველ მეწარმეს და პირველი გილდიის ვაჭარს ერასტი ჭავჭავანიძეს 1903 წელს საკუთარი ოჯახისთვის აუშენებია.

საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად არქიტექტორები ერასტი ჭავჭავანიძეს უცხოეთიდან საგანგებოდ მოუწვევია. არსებობს ვარაუდიც, რომ სახლის სადარბაზო ფლორენციელ ოსტატებს მოუხატავთ.

შენობა ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს იმ პერიოდის ბურჟუაზიული თბილისისა, რომლის გამორჩეული და თვითმყოფადი სახის შექმნაში დიდი ადგილი უჭირავს XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან შემოჭრილ ევროპულ კულტურას.

სამსართულიანი ფეშენებელური ნაგებობა, საფასადე სტუკოს დეკორის სიუხვითა და დახვეწილობით გამოირჩევა. მოდერნული, ევროპული ფასადის მიღმა ვხვდებით შიდა ეზოს და ხის ჭვირული დეკორით შემკულ ღია აივნების.

შენობას გამოარჩევს და განსაკუთრებულ ხიბლს სძენს ცენტრალური სადარბაზოს ინტერიერის მდიდრული და პომპეზური მორთულობა.

თბილისში ევროპული ცხოვრების წეს-ჩვეულებების შემოსვლასთან ერთად იცვლება საცხოვრებელი გარემოს იერიც, მკვიდრდება ახალი არქიტექტურული ელემენტები,

ამ დროს ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა გარეგნულ რესპექტაბელურობას. ქალაქისათვის დამახასიათებელი საღამოებისა და წვეულებების მოსაწყობად, თბილისელ დიდგვაროვნებასა და წარმატებულ ვაჭრებს შესაბამისი განწყობის შექმნა სახლის შესასვლელი სადარბაზოდანვე სურდათ. სწორედ ამიტომ ძალ-ღონეს არ იშურებდნენ რომ შესასვლელი ვესტიბიული, რაც შეიძლება წარმოსადეგი ყოფილიყო. სადარბაზოს იატაკის მოსართავად მოზაიკას იყენებდნენ, ხოლო კედლებს და ჭერს, თაბაშირის დეკორატიული, სტუკოს ტექნიკით ნაძერწი პილიასტრებით, მხატვრობითა და ვიტრაჟებით ამკობდნენ. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის არქიტექტურული ძეგლები არც თუ ხშირია ქართულ კულტურაში. ამასთან თბილისი ევროპული სტილის ქალაქებიდან ერთ ერთია სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია ასეთი მხატვრობები. მათი უმრავლესობა ევროპაში ომის დროს განადგურდა და შესაბამისად ინტერიერის გაფორმების ეს სტილი უნიკალურია არა მარტო ქართულ არამედ ზოგადად ევროპულ კულტურაში.

დავით აღმაშენებლის გამზირზე, №36-ში, მდებარე საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს ინტერიერის დეკორის შესრულებაში გამოყენებულია თითქმის ყველა ის მეთოდი და ტექნიკა რაც გამოარჩევს და განსაკუთრებულს ხდის ამ ხელოვნებას,

მაღალი ოსტატობით და გემოვნებით შესრულებულ დეკორი აერთიანებს დაზგური და მონუმენტური ფერწერის, ტექნიკის და მასალის მრავალფეროვნებას და ქმნის ერთიან სისტემას სადაც თვითოეული ელემენტი ერთ ჰარმონიულ მთლიანობას წარმოადგენს, აქ ვხვდებით: ქაღალდზე, წყლის ბაზაზე დამზადებული საღებავებით შესრულებულ დეკორატიულ მხატვრობას, ტილოს და ქაღალდის საფუძველზე შესრულებულ ჭერის დეკორს და ზეთის საღებავის თამამი მონასმებით დაწერილ კომპოზიციებს, რომლებიც სტუკოს ტექნიკით ნაძერწი პილასტრებითაა გამოყოფილი.

სადარბაზოს კედელზე შემორჩენილია ვეფხისტყაოსნის სცენა "ნახეს უცხო მოყმე ვინმე," ჭერი სადად არის მოხატული ანგელოზებით, ყვავილწუნულებითა და გირლანდებით. ინტერიერის ერთ-ერთ პლაფონში დღემდეა შემორჩენილი სახლის მფლობელის ინიციალები რუსულ ენაზე - E. Y.

## **კედლის მხატვრობის დაზიანებათა იდენტიფიკაცია და ფიზიკური მდგომარეობის ზოგადი შეფასება**

ამ დროისათვის ინტერიერის დეკორის დიდი ნაწილი აუთენტური სახითაა შემორჩენილი. ძეგლზე განსაკუთრებული და შეუქცევადი სარესტვარაციო - ჩარევა ან შეკეთება არ შეიძლება. თუმცა მიუხედავად ამისა მისი ფიზიკური მდგომარეობა რთულია.

შენობის არქიტექტურის დაზიანების, შიდა კომუნიკაციის მოუწესრიგებლობის და დეკორის შესრულების რთული ტექნოლოგიიდან გამომდინარე ვხვდებით მოხატულობის სხვადასხვა ტიპის და სიმძიმის დაზიანების:

### **1. ქაღალდის საფუძველზე შესრულებული მხატვრობა:**

- მტვერი და ზედაპირული ნადები;
- ფერწერული ფენის და საფუძვლის სხვადასხვა ზომის დანაკარგები;
- სხვადასხვა ზომის და სიმძიმის კონსტრუქციული, გამჭოლი და ზედაპირული ბზარები;
- ქაღალდისა და ბათქაშს შორის კავშირის დაკარგვა, ქაღალდის კიდეების გახისტება;
- წყლით და ზედმეტი ტენით გამოწვეული დაზიანებები - ლაქები, ფერის შეცვლა, გაუფერულება;
- საღებავის მკავშირებლის დაკარგვა - ფერის გაფხვიერება;
- ფერის ფენის აქერცვლა, აფცქვნა;
- ვანდალიზმი - გრაფიტი.

### **2. ზეთის საღებავით შესრულებული მხატვრობა:**

- ბათქაშის გაფხვიერება ჩამოშლა;
- ფერწერული ფენის სხვადასხვა ზომის დანაკარგები;

- სხვადასხვა ზომის და სიმძიმის კონსტრუქციული, გამჭოლი და ზედაპირული ბზარები;
- ფერის სახეცვლა;
- დამცავი ფენის (ლაქის) დაზიანება;
- ზედაპირული ნადები;
- გვიანი სარესტავრაციო ჩარევა შეკეთება -( სხვადასხვა ზომის - სავარაუდოდ ცემენტის შევსებები);
- ვანდალიზმი - გრაფიტი, დამწვრობა, მექანიკური დაზიანება.

### 3. სტუკოს დეკორი

- სხვადასხვა ზომის და სიმძიმის კონსტრუქციული, გამჭოლი და ზედაპირული ბზარები;
- გაფხვიერება, ჩამოშლა;
- ფერის სახეცვლა - ზედაპირული გაჭუჭყიანება;
- საფუძველსა და ნალესობას შორის შორის კავშირის დაკარგვა.

## **კედლის მხატვრობის არსებული მდგომარეობიდან და დაზიანებებიდან გამომდინარე, მისი გაჯანსაღებისათვის აუცილებელი საკონსერვაციო სამუშაოები**

### მიდგომა

დავით აღმაშენებლის N36-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მხატვრული ღირებულებისა და ისტორიული ფასეულობიდან გამომდინარე, ინტერიერის მოხატულობის კონსერვაციისას აუცილებელია შემუშავდეს ისეთი მიდგომა, რომელიც განისაზღვრება საერთაშორისო კანონმდებლობების წესების დაცვით და თანამედროვე მეთოდოლოგიების და ტექნოლოგიების გამოყენებით . სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს ძეგლის ფუნქცია, სამშენებლო მასალა, ტექნიკა და გარემო პირობები.

ძეგლის მხატვრულ -არქიტექტურული სახის გრძელვადიანი შემარჩუნებისათვის მიზანშეწონილია ინტერიერის დეკორის აუტენტური ნაწილის კონსერვაცია - „კონსერვაციის მიზანია კულტურული ობიექტის სიცოცხლის გახანგრძლივება და თუ შესაძლებელია, მისი ისტორიული და მხატვრული გზავნილის ნათელყოფა, რომ ამას არ შეეწიროს მისი ავთენტურობა” შესაბამისად, ძეგლის კონსერვაციის შემთხვევაში აღმოიფხვრება დამაზიანებელი ფაქტორები, შეჩერდება დაზიანების დინამიკა და საჭიროების შემთხვევაში აღდგენა - რეკონსტრუქცია მოხდება არსებული ორიგინალი ნაწილის გათვალისწინებით.

გამომდინარე დეკორის მრავალფეროვნებისა და იმისა, რომ ჯერ არ ჩატარებულა მსგავსი ტიპის მხატვრობების საფუძვლიანი შესწავლა სარესტავრაციო პროცესში საჭიროა მულტიდისციპლინარული ჯგუფის თანამშრომლობა, სადაც გაერთიანდება:

კედლის მხატვრობის რესტავრატორი, ქაღალდის რესტავრატორი, ქვის რესტავრატორი და არქიტექტორ რესტავრატორი, ამასთან საკვლევი ობიექტის კომპლექსურების გამო აუცილებელია ჩატარდეს შემდეგი ხასიათის მაღალტექნოლოგიური კვლევები:

- ბათქაშის და სტუკოს ელემენტების შემადგენლობის და ფიზიკურ ქიმიური მახასიათებლების განსაზღვრა;
- პიგმენტების ლაბორატორიული იდენტიფიცირება;
- საკონსერვაციო მასალის და სუბსტრატის თავსებადობის განსაზღვრა;
- თანამედროვე საკონსერვაციო მასალის შერჩევა.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული პროექტის ფარგლებში აღნიშნული კვლევების ჩატარება ან გადამოწმება შესაძლებელია განხორციელდეს **იტალიაში ქ. რომის სარესტავრაციო ლაბორატორიაში** (სადაც იმ პერიოდში სტაჟირებას გაივლის საპროექტო ჯგუფის ერთ-ერთი სპეციალისტი); ამასთანავე კონსულტაციების ფორმატით გათვალისწინებული იქნება საერთაშორისო ექსპერტების რჩევები და რეკომენდაციები.

#### ამოცანები:

##### **ა. წინასარესტავრაციო მოსამზადებელი სამუშაოები**

ფიზიკური რესტავრაციის დაწყებამდე შესაბამისი სპეციალისტების მიერ, ჩატარებული უნდა იყოს შემდეგი წინასწარული სამუშაოები. (ეს სამუშაოები საჭიროა რათა არ შეფერხდეს დეკორის რესტავრაცია - კონსერვაცია და მაქსიმალურად იყოს დაცული უსაფრთხოების ზომები).

- არქიტექტურის გამაგრებითი სამუშაოები;
- წყალგაყვანილობის მოწესრიგება;
- ელექტროობის მოწესრიგება;
- სარკმლების მოწესრიგება;
- გადახურვა.

##### **ბ. წინასაკონსერვაციო კვლევა**

- ძეგლის ისტორიული მონაცემების შეგროვება
- არსებული ვითარების ანალიზი.
- სრული ფოტო დოკუმენტაცია სამუშაოების დაწყებამდე და დაწყების შემდეგ .  
Ill, PDF, Dwg ფაილები.

##### **გ. კვლევა:**

- მოხატულობის შესრულების ტექნიკა და ტექნოლოგია;
- ავთენტური მასალების შემადგენლობის და ბუნების დადგენა (პიგმენტების და ბათქაშის ანალიზები,);
- სარესტავრაციო/საკონსერვაციო მეთოდების განსაზღვრა;

- სარესტავრაცია საკონსერვაციო მასალების შერჩევა და შესაბამისი ტესტირებების ჩატარება.

**დ. ფიზიკური სამუშაოები:**

**კონსერვაცია**

- ზედაპირული გაწმენდა;
- ბათქაშის გამაგრება, ბზარების და დანაკარგების შევსება;
- სტუკოს ნაძერწობის გამაგრება;
- ქაღალდის გამაგრება;
- დაზიანებული ლაქის ფენის მოხსნა;
- ფერწერული ფენის გამაგრება;
- ფერწერული ფენის გაწმენდა;
- ლაქის ფენის აღდგენა;

**რესტავრაცია**

- მხატვრობის დანაკარგების შევსება - ტონირება (ორიგინალი საღებავის ფერის და ბუნების გათვალისწინებით);
- სტუკოს ნაძერწობის აღდგენა - დაფერვა;

**დამატებითი ღონისძიებები**

- ძეგლის მეთვალყურის ინფორმირება თუ როგორ დავიცვათ აღნიშნული ძეგლი შემდგომი დაზიანებებისაგან;
- როგორ მოხდეს აღნიშნული სივრცის მოვლა დასუფთავება;
- როგორ იმოქმედონ დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში;
- საინფორმაციო სტენდის მოწყობა.

*ყველა აღნიშნული საფეხური, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ, დაწყებული მოსამზადებელი პერიოდიდან ვიდრე ძეგლის საბოლოო მდგომარეობამდე, დოკუმენტირებული და ფოტოებით დაფიქსირებული იქნება. იგი მნიშვნელოვანია, როგორც შესრულებული სამუშაოს ანგარიში, ასევე როგორც მოცემული ძეგლის საარქივო მასალა. აღნიშნული ინფორმაცია საჭირო გახდება შემდგომი კონსერვაციისათვის რათა მომავალმა სპეციალისტებმა სათანადო ინფორმაცია იქონიონ ჩატარებული სამუშაოებისა და მასალების შესახებ.*

*სახვითი და მონუმენტალური ფერწერის რესტავრატორები:*

*ლელა ნინოშვილი*

*მარიამ კალხიტაშვილი*



ცენტრალური სადარბაზოს ვესტიბული, ზეთის ფერწერა



კედლის კონსტრუქციული ბზარი



ჭერის მოხატული ქალაქის და ტილოს საფუძველს შორის კავშირის დაკარგვა და საფუძველს მოშორებული ქალაქის კიდეების გახისტება



სტუკოს ნაძერწი პილიასტების დაზიანება



დანაკარგების შეუსაბამო მასალით შევსება



ფერწერული ფენის დაკარგვა



ბათქშის დაკარგვა



მოხატული ქაღალდის დანაკარგები და საფუძველთან კავშირის შესუსტება



ტენით გამოწვეული დაზიანება



გვიანი შეუსაბამო შეკვება



წყლის ლაქები